№ 288 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 10 მან. შაბათი, დეკემბრის 18 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 20 მან. 4-ზე გ. 15 მან: სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 500 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 260 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებ. ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20 %, რედა. ქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—89.

სახელმწ. თეატრი.

ოპერა

შაბათს, 18 დეკემბერს წარმოდგენა მუშებისათვის

„სიმფონიური კონცერტი“

ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწ.

კვირას, 19 დეკემბერს, „ფრა დიავოლო“, ორშაბათს, 20 დეკემბერს „ქეთო და კოტე“, სამშაბათს, 21 დეკემბერს ბალეტის საღამო მორდკინისა „კარნავალი“. დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს. 1011 1—1

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

შაბათს, დეკემბრის 11-ს მეორედ მხიარული კომედია

„ალლუმი“

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კვირას, დეკემბრის 19-ს მესამედ „სიცრუე“.

სამშაბათს, დეკემბრის 21-ს მეოთხედ „გერდო-ზმანია“

ბილეთები კასაში

მზადდება: „ანტიგონა“, „მარიამ მაგდალელი“.

1012 1—1

ოფიციალური განყოფილება.

## დეკრეტი

**სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.**

1. დამტკიცებულ იქნეს ამა 1920 წლის ოქტომბრის პირველიდან ამ დეკრეტთან დართული სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილების შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

2. პირველ (1) მუხლში მოხსენებული შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის საჭიროებისათვის გაცემულ იქნეს სახელმწიფო ბანკის გამგეობის განკარგულებისათვის ბანკის შემოსავლის თანხიდან ამა 1920 წლის ოქტომბრის პირველიდან 1921 წლის იანვრის 1-დე ორი მილიონი ექვსას ორმოცდა ცხრამეტი ათას ცხრაასი (2.659,900) მანეთი.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წლის ნოემბრის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## შტატი და ხარჯთ-აღრიცხვა.

**საქართველოს სახელმწიფო ბანკის ბათომის განყოფილებისა 1920 წ. ოქტომბრის 1-დან 1921 წ. იანვრის 1-მდე.**

| №№ რიგზე. | თანამდებობა. | თანამდებ. რიცხ. | ჯამაგირი თვითეულს თვიურად. | ჯამაგირი ყველას თვიურად. | ჯამაგირი ყველას 1920 წ. ოქტომბ. 1-დან 1921 იანვ. 1-დე. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მმართველი | 1 | 30000 | 30000 | 90000 |
| 2 | მისი ამხანაგი | 1 | 24000 | 24000 | 72000 |
| 3 | კონტროლიორი | 1 | 18000 | 18000 | 54000 |
| 4 | მთავარი ბუხჰალტერი | 1 | 21000 | 21000 | 63000 |
| 5 | მთავარი მოლარე | 1 | 15000 | 15000 | 45000 |
| 6 | კონტროლიორის თანაშემწე | 1 | 12000 | 12000 | 36000 |
| 7 | მთავარ ბუხჰალტერის თანაშემწე | 1 | 15000 | 15000 | 45000 |
| 8 | ნაწილის გამგე | 2 | 15000 | 30000 | 90000 |
| 9 | ნაწილის გამგის უფროსი თანაშემწე | 3 | 12000 | 36000 | 108000 |
| 10 | კასირი | 1 | 12000 | 12000 | 36000 |
| 11 | კასირის თანაშემწე | 1 | 10500 | 10500 | 31500 |
| 12 | ნაწილის გამგის უმცროსი თანაშემწე | 5 | 9000 | 45000 | 135000 |
| 13 | მთარგმნელი | 2 | 6800 | 13600 | 40800 |
| 14 | მანქანით გადამწერი | 1 | 5700 | 5700 | 17100 |
| 15 | დამთვლელი | 6 | 6800 | 40800 | 122400 |
| 16 | მექანიკოსი | 1 | 6300 | 6300 | 18900 |
| 17 | დაბალი მოსამსახურე (შიკრიკი, კარის-კაცი და რაჯი) | 7 | 4400 | 30800 | 92400 |
| 18 | მეეზოვე | 2 | 4000 | 8000 | 24000 |
| | სულ | 38 | 227500 | 373700 | 1121100 |
| 19 | გამნაღდებელ-გამსესხებელ კომიტეტის წევრების გასამრჯელოთ (19 სხდომა 200 მან. თითეულს 12 კაცს) | — | — | — | 43800 |
| 20 | საკანცელარიო ხარჯი | — | — | — | 200000 |
| 21 | სასტამბო ხარჯი | — | — | — | 200000 |
| 22 | ბინის მოვლა, განათება და გათბობა | — | — | — | 500000 |
| 23 | მიმოსვლის ხარჯი (საგზაო ხარჯი) | — | — | — | 15000 |
| 24 | ინვენტარის განახლება და დამატებით შეძენა | — | — | — | 100000 |
| 25 | წვრილმანი ხარჯი (ჩაი, შაქარი, ნოტარიუსის და სასამართლოს ხარჯი) | — | — | — | 60000 |
| 26 | საორგანიზაციო ხარჯი | — | — | — | 420000 |
| | სულ | — | — | — | 1538800 |
| | და სრულიად | — | — | — | 2659900 |

1920 წ. ნოემბრის 30-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი **ხ. მდივანი.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

## განკარგულებანი

**მთავრობის თავმჯდომარისა.**

15 დეკემბერი, 1920 წ. № 36.

მთავრობის ა. წ. 9 დეკემბრის დადგენილების თანახმად ვლადიმერ ნესტორის ძე ქუთათელაძე დაინიშნოს იუსტიციის მინისტრის ამხანაგად.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

—

**სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგისა.**

10 დეკემბერი, 1920 წ. № 485.

**ინიშნება:** სახელმწიფო კონტროლის კანცელარიის მოხელეთ დავით ირაკლის ძე ცქიტიშვილი ა. წ. 9 დეკემბრიდან.

სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი **კ. ანდრონიკაშვილი.**

—

**შეცდომის გასწორება:**

გაზ. „საქ. რესპ.“ № 285-ში ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში დაბეჭდილი იყო:

№ 130.

**დანიშნულია:** ფოთის საბაჟოში ფოთის საბაჟოს უმცროსი კონტროლიორი გვაზავა—უფროს კონტროლიორად ა. წ. 1 დეკემბრიდან.

**უნდა ყოფილიყო:**

№ 130.

**დანიშნულია:** ფოთის საბაჟოში ფოთის საბაჟოს უმცროსი კონტროლიორი რიგგავა—უფროს კონტროლიორად ა. წ. 1 დეკემბრიდან.

არა ოფიციალური განყოფილება.

## შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თანახმად მე-3 ინტერნაციონალის წესდებისა ემორჩილება არა ლეგალურ ცენტრის დირექტივებს და ამზადებს ჩვენში შეიარაღებულ გამოსვლას.

როგორც ჩვენ მიერ ამას წინად გამოქვეყნებულ ცნობებიდან სჩანს, დასახელებულ გამოსვლების მოსამზადებლად თანხას უცხო სახელმწიფოდან იღებენ. ეს თანხა ხმარდება, როგორც ლეგალურ, ისე არა ლეგალურ მიზნების განხორციელებას.

ქართული და რუსული „კომუნისტი“ იყიდება ცალი 10 მანეთად, ხშირად უფასოდაც არიგებენ, ხოლო ცალი გაზეთის გამოცემა იქ ჯდება 25-20 მანეთი.

დასახულ მიზნის მისაღწევათ კომუნისტური პარტია სცდილობს უცხო სახელმწიფოდან მიღებულ თანხით მიიმხროს მოსწავლე ახალგაზრდობა ამისათვის იგი არ ერიდება არავითარ საშუალებას, ხშირია ისეთი შემთხვევა, რომელთაც აშკარა მოყიდვის ბეჭედი აზის.

მიუხედავათ ასეთი ზომებისა, საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა გადაჭრით უარყოფს კომუნისტების ამ გზას.

საქართველოს კომუნისტური პარტია, უცხოელ ქვეშევრდომთაგან შესდგება, რომელნიც ვერ შერიგებიან საქართველოს დემოკრატიის თვით გამორკვევას და რუსეთის ძველ საზღვრებში აღდგენას სცდილობენ.

დეკ. 8 ტფილისის კომიტეტის მე 2 რაიონის სხდომას საგანგებო რაზმის მიერ მიღებულ ცნობებით საბოლოოთ უნდა გამოერკვია აჯანყების გეგმა თანახმათ საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დირექტივებისა. მიცემული იყო ბრძანება იქ დამსწრეთა გაჩხრეკის შესახებ. კრებაზე აღმოჩნდა:

1. პოლოსოვი სტეფანე მინასის ძე. 2, სიტნიკოვი კონსტანტინე, 3, ოსტროჟინკი კაზიმირ. 4, სეგალი ტიფა რუბენის ასული. 5, ალიხანოვი გეორგი. 9, პაპოვი ბალდასარ ივანეს ძე. 7, დავიდიანცი მესროპი. 8, ბელერგო ვასილი. 9, ლევინი გრიგოლ დანიელის ძე. 10, სიტნიკოვი ოლღა ვასილის ასული. 11. დევინი ელენა. 12. კერუმოვი სარქის ივანეს ძე. 13. ეზხანოვი მიხეილი, 14. განცევიჩი დიმიტრი. 15. ვიუბლერი ვლადიმერი. 16. კოტიანცი გიორგი. 17. გოდაბრელიძე სიმონი. 18. რუბანოვი ივანე, 19. კოლესნიკოვი. ივანე. 20 პეტროვი გიორგი. 21. შევჩენკო დიომიდე მაკარის ძე. 22. კრავცოვი მაქსიმ. 13. ნაკინსკი ისაკ იოსების ძე. 24. ფილატოვა ზინია იაკობის ასული. 25. ბარანცევიჩი ელენე ივანეს ასული. 26. მიქაელიანი ემანუილ. 27. ომიაძე გიორგი. 29. კრალი თედორე სიმონის ძე. 29. დანდუროვი სტეფანე ალექსანდრეს ძე. 30. სმედნი გიორგი იგნატეს ძე. 31. სიდამონიძე ესტატე. 32. პატაევი ივანე პავლეს ძე, 33. ედელსონი ემმა ლევის ასული 34. შეპცოვი მაქსიმე ივანის ძე. 35. პატაევი თედორე იაგორის ძე. 37- მარქაროვი ბალდასარი. 37. გურული სპირიდონი.

ამათში მხოლოდ 4 კაცია საქართველოს ქვეშევრდომი, დანარჩენი 38 წევრი უცხო სახელმწიფოს ქვეშევრდომნი არიან. პირველ რაიონის „იაჩეკის“ წევრთა შორის, რომელიც შესდგება 250 კაცისაგან 173 უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომია. ასეთსავე სურათს იძლევა კომუნისტურ სხვა „იაჩეკების“ წევრთა სიებიც.

პარტია, რომელიც უცხოელთაგან შესდგება, მთელ თავის იმედებს ამყარებს უცხო შეიარაღებულ ძალაზე. პარტიის ორგანიზაციები ხშირად მიმართავენ აზერბეიჯანისა და კავკავის რევკომებს დახმარებისათვის. და სწორედ ამ იმედით სულდგმულობდენ და მოქმედებდენ.

მთავრობამ მიიღო ენერგიული ზომები უცხოელ ქვეშევრდომთა მოქმედების ასალაგმავად და რესპუბლიკაში სრულ წესრიგის დასაცავად.

## დამფუძნებელი კრება

(14 დეკემბრის სხდომა).

**იუსტიციის მინისტრის რ. არსენიძის პასუხის დასასრული.**

შემდეგ აქ მოიყვანეს ზოგიერთი საქმე. დაასახელეს რაღაც ფირმა სოხუმის ოლქიდან, მე ეს საქმე სრულიად არ გამიგია, შინაგან საქმეთა მინისტრმაც მითხრა, რომ ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცით. არც მე ვიცი, რომ ეს საქმე მოსულიყო ჩემამდე, მე გავარკვევდი ამ საქმეს და გავსცემდი ისეთ პასუხს, როგორც მუდამ ვაძლევ ხოლმე. სამოქალაქო საქმეებზე ხშირათ ყოფილა საქმეები, როდესაც ვექილები, დამფუძნებელი კრების წევრებიც სამოქალაქო საქმეების გასარჩევათ მოდიან მთავრობაში და მე ვიცავდი მთავრობაში იმ აზრს, რომ ასეთი საქმეები სასამართლოს გადასცემოდა და არ გარჩეულიყო. თქვენ გახსოვთ ალბათ ის შეცდომა, რომელიც ბ. ჩხიკვიშვილს მოუვიდა, როცა ის ბათომში ჩავიდა. მან იქ სასამართლოს ფუნქციები, სამოქალაქო საქმეები თავის თავზე აიღო. მთავრობამ გააუქმა ეს საქმეები იუსტიციის მინისტრის დასკვნის მიხედვით და უთხრა მხარეებს: სასამართლოში მიბრძანდითო. თავის თავად ცხადია, რომ იუსტიციის მინისტრი არ იცავს იმას, რომ სამოქალაქო საქმეები გაირჩეს ადმინისტრატიული წესით, ან მთავრობაში. (გვაზავა: სისხლის სამართლის საქმე? კ. თუმანიშვილი?).

რაც შეეხება თუმანიშვილის საქმეს, ამის

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

გ ა ზ ე თ

„საქართველოს რესპუბლიკა-ზე"

გაზეთი თვიურად ეღირება 500 მანეთი, წლიურად 6.000 მან. ცალკე ნომერი 25 მან. ნისიად გაზეთი არავის გაეგზავნება. გაზეთის ზედმეტი რიცხვი არ დაიბეჭდება.

შესახებ გახლავთ მთავრობის დადგენილება. მე ამ ჟამად მთავრობის სახელით ამის შესახებ ლაპარაკს არ შევუდგები, ვინაიდან ეს არის მთლიანი აქტი მთავრობისა, მაგრამ მე, როგორც წევრი მთავრობისა, სავსებით ვიღებ პასუხისმგებლობას მთავრობის მოქმედებისათვის, იმიტომ, რომ თუ კი ადამიანი მთავრობის თავმჯდომარეს შებედავს ისეთ სიტყვებს, რომელიც აქ ყოფილიყო რომელიმე დეპუტატის მიერ წარმოთქმული, გაძევებას გამოიწვევდა ამ დარბაზიდან, ვინაიდან ასეთი შეურაცყოფის მოყენება მთელი ერის წარმომადგენლისათვის, მთავრობის თავმჯდომარისათვის, რომელსაც ყველა პატივს ვცემთ, არა მარტო როგორც პიროვნებას, არამედ, როგორც რესპუბლიკის წარმომადგენელს (ტაში) ყოვლად დაუშვებელია. და მე მგონია, მთავრობას აქვს უფლება ამისთანა შემთხვევაში მიმართოს განსაკუთრებულ ზომებს. თქვენ ამბობთ, რომ ეს სასამართლოს წესით უნდა გარჩეულიყო. მე უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ სამწუხაროდ იმდენად ჩამოყალიბებული არა გვაქვს წესები და კანონები, რომ შეგვეძლოს თქმა, რომ ეს უეჭველად უნდა გაირჩეს იმ ფორმით და არა ამ ფორმით. აქ, ამ საკითხში მე, როგორც იუსტიციის მინისტრს, წამომიყენეს ბრალდება, რომ მე თუმანიშვილი ციხეში არ უნდა მიმეღო. მოგახსენებთ მთავარ დებულებას ჩვენი კანონისას, რომ მთავრობის დადგენილება სასამართლოში არ განსახილველია, მაშასადამე მართლაც რომ არ ყოფილიყო, ვთქვათ,—ზოგიერთი იურისტის აზრით, მთავრობის დადგენილება, არც იუსტიციის მინისტრს, როგორც წარმომადგენელს სასამართლოსას, არ ქონდა ჩვენი კანონით უფლება მთავრობის დადგენილება განესაჩივრებია ან და იგი არ შეესრულებია. ეს არის წმინდა პოლიტიკური ხასიათის საკითხი და თუ გნებავთ დააყენეთ ეს, როგორც პოლიტიკური საკითხი და არა როგორც იუსტიციის მინისტრის მოქმედების და მუშაობის საკითხი, ვინაიდან ეს მას არ ეხება ოდნავათაც. (კიდია: მაშინ თქვენ უნდა გასულიყავით სამინისტროდან?) უნდა გავსულიყავი? მხოლოდ ამაშია საქმე, რომ მე გავსულიყავი? მე ვმუშაობ მთავრობაში ისე, როგორც ყველგან იმისთვის კი არა, რომ მცირე რამისთვის გავიქცე... (კიდია: პრინციპიალური საკითხია!) არა მე ამისათვის არ ვმუშაობ! მთავრობა, როცა მუშაობს მთლიანათ და იღებს საერთო დადგენილებებს, ყველა მინისტრი მომხრე და არა მომხრე აგებს პასუხს. მე მთავრობასთან ერთად ვიზიარებ ამ აქტის პასუხისმგებლობას და ლაპარაკს იმაზედ, მე მომხრე ვიყავი თუ წინააღმდეგი და რომელ მხარეს ავწიე თითი, არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, ვინაიდან არ არის მთავრობაში არც ერთი საქმე, რომელიც არ იწვევდეს რამდენიმე ხმას წინააღმდეგ ან სასარგებლოდ. მაგრამ ეს არ არღვევს მთავრობის სოლიდარულ მუშაობის ხაზს. ეს არ არის პოლიტიკური ბრძოლა. არ ვაოგა მხოლოდ, რომ კულისებში გაგონილი ამბავია მოტანილა აქ, ეს არ არის საკადრისი სერიოზული დეპუტატისთვის. დანარჩენ ფაქტებს, ალბათ უფრო სერიოზულს შემდეგში წამოაყენებთ, და მე მაშინ მოგცემთ განმარტებას (მაჭავარიანი: მუხრანის თემის თავმჯდომარე რატომ არ არის მიცემული პასუხისგებაში?) ამის შესახებაც მოგახსენებთ. მართალია ეს საქმე საკმაოდ რთული იყო, იმ პოლიტიკურ მდგომარეობის გამო, რომელიც იყო ამ თემში, იქ ყოფილ დიდ ბოლშევიკურ მოძრაობის გამო და იმ არევ დარევის, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რაიონში. ასეთ ადგილებში საჭიროა ხშირად უფრო სიფრთხილის გამოჩენა, ვიდრე ისეთი პოლიტიკის გატარება, როგორსაც აქ მოითხოვენ. მართალია, სასამართლომ დაადგინა მუხრანის ბინის დაცლა თემისაგან, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ბინის დაცლა რამდენად ძნელია. მე წავიკითხე ამას წინად ერთი ჩვენი პოეტის წერილი: ის სწერს, რომ წელიწად ნახევარია, რაც სასამართლომ დაადგინა ბინის დაცლა ჩემს სასარგებლოდ, მას შემდეგ დავდივარ, მაგრამ დღემდის სასამართლომ ვერ მოახერხა ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა. ეს ბინის დაცლა იმდენად რთული და ძნელი რამ არის, რომ წლობით გრძელდება მისი ასრულება და ვერ სრულდება. ეს თქვენ კარგად იცით (ლორთქიფანიძე: კირილე ნინიძეს აძევებენ ბინიდან თუ არა!?) მე არ ვიცი, ამის ცნობა არ მაქვს. მე ვამბობ შემდეგს, რომ იუსტიციის მინისტრს არ ჰქონია არც ერთი წუთი იმისი სურვილი, რომ სასამართლოს დადგენილება არ ყოფილიყოს სისრულეში მოყვანილი. ის ვერ მოვიდა სისრულეში მეორე გარემოების გამო, მთავრობის დადგენილების გამო. რადგანაც ამ სახლში იდგა გვარდია, იყო თემი და ან გაიხსნა ამბულატორია მთელი რაიონისთვის. (ვეშაპელი: სანატორიუმი ხომ არ იყო?) და რადგან შეთანხმება პატრონთან მოლაპარაკებით სახლის დაქირავების თაობაზე არ მოხერხდა და მუხრანსკის მემკვიდრეებს უნდოდათ უეჭველად განდევნა და ამ დაწესებულებებს არავითარ საშუალებით აძლევდნენ ბინას ქირითაც კი, გაიძახოდნენ, რომ იქ არის გვარდია და თემი, ამიტომ არ მინდა, რომ ჩემს სახლში იყონ. წავიდნენ და ტყეში მოეწყონ!

ამ მიზეზის გათვალისწინების შემდეგ მთავრობამ დაადგინა, რომ 1 წლის იჯარით იქნეს იძულებით მიცემული ეს სახლი ამ თემისთვის (კიდია: ეს არის კაპიტულიაცია თემის წინაშე) თქვენის აზრით ეს კაპიტულიაციაა, ჩემის აზრით კი ეს არის ხალხის საქმის გაკეთება. (ტაში)

ასე მიეცა ეს სახლი გვარდიას, თემს და ამბულატორიას, თქვენ გგონიათ, რომ თუ ჩვენ ამბულატორიას გავხსნით, ეს ბოროტმოქმედებაა და რომ სასამართლო იმისთვის არსებობს, რომ შეუშალოს ხელი ამბულატორიის გახსნას; თუ ასე ფიქრობთ, მე მაშინ არ გამოვდგები თქვენთვის იუსტიციის მინისტრად (მაჭავარიანი: ოლქის სასამართლოს ბოქაულის წინააღმდეგ მოქმედება დანაშაულია თუ არა? ჯუღელი: ამას ხალხის ინტერესი მოითხოვდა) მე მომივიდა აქტი ბოქაულის მიერ დაწერილი და არავითარი ელემენტი ბოროტმოქმედებისა. კრიმინალისა ამ აქტში არ არის. და თუ თქვენ გაქვთ სხვა ცნობა, საბუთი, მაშინ შეიძლება ლაპარაკი საკრიმინალო ხასიათის გამოძიების აღძვრაზე.

რაიც შეეხება საქმის ფორმალურ მხარეს, აქ მთავრობას თავის უფლებებზე არ გადაუჭარბებია, როცა მან მიიღო დადგენილება ერთი წლის იჯარის შესახებ. მგონი ეს უდავოა და თქვენც იცით, რომ მთავრობის დადგენილება არის ისეთი აქტი, რომელსაც ჩვენი კანონის მიხედვით ჩვენი სასამართლო ვერ შეეხება.

მაშასადამე, სრულიად ლეგალურად, სრულიად კანონიერად, ბინის დაცლის შესახებ სასამართლოს დადგენილების ასრულება უნდა შეჩერებულიყო. და ეს კიდევაც შეჩერებულ იქნა. თქვენ იტყვით, რომ ცუდი კანონი გამოუცია სოციალ-დემოკრატიასო, მაგრამ ეს პოლიტიკური საკითხი დაისვა, როგორც პოლიტიკური საკითხი და არა, როგორც იუსტიციის მინისტრის პირადი მოქმედების მუშაობის საკითხი.

ამით ვათავებ ეხლა და როდესაც შემდეგ ვნახავ იუსტიციის მინისტრის პოლიტიკის საერთო ხაზის დაფასებას, მაშინ იმაზედაც გაგცემთ პასუხს. (ტაში)

(დასასრული იქნება)

# მომარაგების სამინისტროში

მომარაგების სამინისტროში დასრულდა მუშაობა შემფასებელ კომისიისა, რომელშიაც იღებენ მონაწილეობას მეთამბაქოეთა, საზოგადოებრივ დაწესებულების სავაჭრო პალატისა, სააქციზო სამმართველოს დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები. შემფასებელ კომისიას უნდა გამოერკვია 1919 წლის მოსავლის თამბაქოს თვითღირებულება, იმ თამბაქოსი, რომლის რეალიზაცია უნდა მოეხდინა მეთამბაქოეებს მთავრობასთან ერთად. კომისიამ შეიმუშავა განსაზღვრული ფასები და გამოსთქვა სურვილი ამ ფასების გადიდებისა. ეს ზომა გამოწვეულია მით, რომ 1919 წელში გაწეულ ხარჯების დაფარვას პლანტატორები მხოლოდ 1920 წელში შესძლებენ. მომარაგების სამინისტრომ, მიიღო რა მხედველობაში კომისიის სურვილი დაადგინა: 1919 წლის მოსავლის თამბაქოს თვითღირებულება. ამასთანავე ამ საკითხში კოოპერატიულ ამხანაგობათა და მეთამბაქოეთა პლანტატორთა წარმომადგენლებთან სრული შეთანხმება

# უცხოეთი

(საინფორმაციო განყოფილების ცნობები)

**რუსეთი საომრად ემზადება.**

„დეილი ტელეგრაფი" იუწყება: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ყველა ფრონტზე შეწყვეტილია სამხედრო მოქმედებანი, რუსეთი მაინც ემზადება საზამთრო კამპანიისათვის. უკანასკნელი დეკრეტით გამოცხადებულია მობილიზაცია 36 წლამდე. ამავე დეკრეტით წინ დახედულია მამაკაცების შეცვლა ქალებით ფაბრიკა-ქარხნებში.

**ვრანგელის ჯარის ევაკუაცია.**

„რეიტერის სააგენტო" იუწყება, რომ მოსკოვის პრესის ცნობა იმის შესახებ, თითქოს ინგლისს ვრანგელისათვის გემებით დახმარება აღმოეჩინოს მისი ჯარების ევაკუაციის დროს, სიმართლეს არ შეეფერება. ვრანგელის ჯარი გადაყვანილი იყო რუსეთის ტრანსპორტით. ბრიტანეთის სამხედრო გემებით წამოიყვანეს მხოლოდ ექვსოდე ბავშვი ინგლისელ ქვეშევრდომებისა; ეს ბავშვები სევასტოპოლის ჰოსპიტალში იმყოფებოდენო.

**წითელ ჯარში.**

საფრანგეთის პრესა იუწყება საბჭოთა ჯარების შესახებ. ამ ცნობის მიხედვით სპარსეთსა და ირანში ბოლშევიკებს შეუდგენიათ ახლო აღმოსავლეთის კომუნიზაციის მიზნით იმგვარივე ტიპის რაზმები, როგორც არის ლატიშებისა და ჩინელების დივიზიები.

წითელ ჯარში შემოიღეს წარჩინების სხვა და სხვა ნიშნები, მათ შორის წითელ ვარსკვლავისა და წითელი დროშის ორდენები. გავრცელებულია აგრეთვე დაჯილდოება ოქროს იარაღით, პორტსიგარით, ოქროს საათებით და სხვ. პრესა იუწყება აგრეთვე ტროცკის მატარებლის დაცვის შესახებ; მას იცავენ ლატიშების რაზმები, რომლებსაც მაყვალისფერი ფორმა აცვიათ. თვით მატარებელს რკ. გზ. სადგურებზე იცავს ჩრეზვიჩაიკების აგენტები. იმ მიზნით, რომ ვერ შესძლონ ტროცკის ვაგონის აფეთქება, ვაგონს ქვევით ჯავშანი აქვს გაკეთებული.

**საბჭოთა მთავრობის ფინანსები.**

ინგლისური პრესა იუწყება: საბჭოთა მთავრობის ფინანსიური ცხოვრება სრულებით დაშლილია. თითქმის არავითარი შემოსავალი არ არის, გასავალი კი განუსაზღვრელია. მიუხედავათ იმისა, რომ მოაწყვეს ქაღალდის დამამზადებელი ახალი ექსპედიციები და ფულის საბეჭდი მანქანები შეუჩერებლივ მუშაობენ, ქაღალდის ფულის მაინც დიდი ნაკლოვანება არსებობს. არავითარი ვაჭრობა არ არსებობს. მაღაზიები დაკეტილია. ღიაა მხოლოდ საბჭოთა ცარიელი დუქნები.

**კრასინის თხოვნა და პროტესტი.**

კრასინმა მოსკოვის მთავრობის სახელით ლოიდ ჯორჯს მიმართა თხოვნით, რომ მან გავლენა მოახდინოს მოკავშირე სახელმწიფოებზე იმ მიზნით, რომ მოკავშირეებმა დახმარება არ გაუწიონ ვრანგელს, პეტლიურასა და გენ. ბალახოვიჩს. ამასთანავე საბჭოთა მთავრობამ პროტესტი განაცხადა ლორდ კერზონის ბრძანების გამო, რომელიც ბალტიის ზღვაში არსებულ რუსეთის გემებისა და წყალქვეშა ნავების დაკავებას შეეხება.

# საბჭოთა რუსეთში

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო)

**სურსათი მონასტერში.**

სმოლენსკის ჩეკამ მსტისლავის მაზრაში არსებულ მოზოლოვის მონასტერში დიდ ძალი სურსათი და სხვა საქონელი აღმოაჩინა.

საქართველოში მყოფი რუსი არტისტები და სხვა პროფესიების წარმომადგენლები აცხადებენ სურვილს რუსეთში უკან დაბრუნებისას.

**რუსეთის ქონების ფლანგვა.**

კონსტანტინოპოლში სპეკულიანტები რუსეთის ფლოტის გემებით ვაჭრობენ. ვრანგელის ყოფილმა მინისტრმა ოფიციალურათ განაცხადა, რომ სამხედრო ფლოტი გადაეცემა საფრანგეთს, ვრანგელის ჯარის შესანახად გაწეულ ხარჯების დასაფარავათო.

ესერთა პარტიის კომიტეტი იწვევს პარიზში ყოფილ დამფუძნებელ კრების წევრებს, რუსეთის ახალ მთავრობის შესადგენათ და გამოსაცხადებლათ.

**ღირსეული შეფასება.**

ინგლისის დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ დაბეჭდა იმ კომიტეტის ანგარიში, რომელმაც საბჭოთა რუსეთის ცხოვრების პირობები შეისწავლა. კომიტეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა ძალა უფლება არის რუსეთში რევოლიუციის ერთ ერთი იარაღით.

**უინგა ჩატეხილია.**

სტამბოლში მყოფმა ინგლისის მისიამ ნება დართო ინგლისის სავაჭრო გემებს საბჭოთა რუსეთის ნავთსადგურებში შესვლისა.

**მეფე უნდათ.**

უნგრეთის წვრილ მესაკუთრეთა კონგრესმა მოითხოვა მონარქიის აღდგენა.

**ბელორუსეთის ახალი ყრილობა.**

მინსკში გაიხსნა ბელორუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობა. ყრილობა გაიხსნა 11 თვის შეწყვეტის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში ბელორუსეთი პოლონეთის ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა.

**კონტრევოლიუციის მსხვერპლთა დასაფლავება.**

სიმფეროპოლში დაასაფლავეს კონტრევოლიუციის მსხვერპლნი. 50 კუბო დიდ-ძალ ხალხის თანადასწრებით ქალაქის შუა გულში ჩაუშვეს სასაფლაოში.

# სომხეთში

**რეპრესიებში**

სარწმუნო წყაროებიდან გადმოგვცემენ ბოლშევიკები სომხეთში უკვე შეუდგენ დაშნაკელების სასტიკ დევნას. გავლენიან დაშნაკელებს ატუსაღებენ. ჰდროს დახვრეტა მართალი გამოდგა. მოელიან სხვების დახვრეტასაც. ამასთან ერთად გაძლიერდა რეკვიზიციები. ისედაც დამშეულ და დანგრეულ სომხეთს თავზე აწვება წითელ არმიელთა შენახვა. მცხოვრებლებსართმევენ ცხენებს, თივას და ქერს. ჯერჯერობით ეს მოუტანა საბჭოთა სისტემამ სომხის გაწამებულ ხალხს.

**სომხეთის მისიების ლიკვიდაცია**

„წითელ" სომხეთის სარევოლიუციო კომიტეტი ყველგან, მათ შორის, საქართველოშიც აუქმებს დაშნაკცაკანთა მთავრობის მიერ დანიშნულ მისიებს. იმ ქვეყნებში, სადაც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა არსებობს სომხეთის მისიების ლიკვიდაცია ხდება ამ მისიების უფროსთა პირად პასუხისმგებლობით და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის ზედამხედველობით.

**საბჭოთა სომხეთის ნოტა ანგორის მთავრობას.**

მოსკოვი, 15 დეკემბერი (რადიოთი). საბჭოთა სომხეთის საგარეო საქმეთა კომისარი ანგორის მთავრობის მიმართ ნოტაში რწმენას გამოსთქვამს, რომ სომხეთში შექმნილ პირობებს შეეძლება შექმნას ისეთი მდგომარეობა, როდესაც ადგილი არ ექნება არავითარ შუღლსა და მტრობას სომხეთისა და ოსმალეთის ხალხთა შორის. საბჭოთა სომხეთის მთავრობა ელის დაშნაკელების ხელმოწერილ ხელშეკრულებაზე საზეიმო პროტესტს და მოუწოდებს ახალ კონფერენციის მოსაწვევად, ახალ დროს და პირობებს შესაფერ ხელშეკრულების გამოსამუშავებლათ.

**ვრაციანი მიმდინარე მომენტის შესახებ**

ერევანი, დეკემბრის 4. გაზეთ „არაჩის" 28 ნოემ. №-ში უკანასკნელ პრემიერის შემდეგი სიტყვაა მოყვანილი: „მიმდინარე მომენტი ამბობს ვრაციანი, ხასიათდება მით, რომ, ამიერ-კავკასიის ხალხი თავისუფლდება რა ერთი პოლიტიკურ გავლენიდან,ვარდება მეორე ახალ პოლიტიკურ მონობის უღელში. აქამდის ჩვენ ვიყავით ანტანტის პოლიტიკის გავლენის ქვეშ, უმთავრესათ კი ინგლისის, ახლა კი, როდესაც განვთავისუფლდით ამ გავლენისგან, უნდა გამოვერკვიოთ რამდენათ ეთანხმება ჩვენი საგარეო პოლიტიკა, ანტანის პოლიტიკასთან შეთანხმებული, ჩვენი დემოკრატიის ინტერესებს. ამ კითხვაზე სამწუხაროთ ასე შეიძლება პასუხი: ანტანტასთან თანამშრომლობამ ბევრი მავნებლობა მოგვიტანა, რადგან ანტანტის ინტერესების გამო ჩვენ ჩვენი ქვეყანა გადავაქციეთ გამუდმებულ საბრძოლველ არენათ ჩვენ მეზობლებთან.

# ახალი ამბები

**მისალმება დამფუძნებელ კრებას.** დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის სახელზე მანგლისის რაიონის მცხოვრებთა საერთო კრებისა მთავარი შტაბის რწმუნებულებისა და თემის გამგეობის თავმჯდომარის სახელით შემდეგი დეპეშა მოვიდა: მანგლისის რაიონის მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისა და სქესისა ზეიმით დღესასწაულობს გვარდიის 3 წლის არსებობას. ამ ისტორიულ დღეს ხალხი რწმენას გამოსთქვამს, რომ რესპუბლიკის დამფ. კრება წარმოადგენს გვარდიის თავგანწირულ ბრძოლის შედეგს. ხალხი მტკიცე ბრძოლით განამტკიცებს დამფ. კრების მუშათა ხალხის კეთილდღეობისათვის: მანგლისის რაიონის მოქალაქენი ფიცს სდებენ, რომ სახალხო გვარდიასთან და ჯართან ერთად იბრძოლებენ რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ.

**ქალაქთა საბიუჯეტო უფლება.** ქალაქთა კავშირის კომიტეტმა შეადგინა საგანგებო კომისია სენატორ კალანდარაშვილის თავმჯდომარეობით, ქალაქთა კავშირისა და ფინანსთა სამინისტროს მიერ შემუშავებულ ქალაქთა საბიუჯეტო უფლების პროექტთა ერთმანეთთან შესათანხმებლად, თანახმად ამ საკითხის შესახებ მთავრობის დადგენილებისა.

**მიწათ-მოქმედების სამინისტროში.** მიწად-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილება იმუშავებს პირობებს კავკასიის პალმის ექსპლოატაციის შესახებ. პალმა ძვირფას სავალიუტო საქონელს შეადგენს.

გორის მაზრაში განზრახულია ყველა სატყეოს გადაჯგუფება. განზრახულია აგრეთვე ახალ სატყეოს დაარსება.

**სატარიფო ხელფასი.** სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა ქალ. ელექტრონის სადგურის მუშებისათვის დაადგინა სატარიფო ხელფასი. სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა დაამტკიცა: 1, იმ სამხედრო სკოლების მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასი, რომელნიც მოქმედებას ნოემბრის 26 დაიწყებენ, და 2, მელითონეთა კავშირისაგან წარმოდგენილი ხელფასი, შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელოსნოს მუშებისათვის.

**ყაჩაღთა ბრბოებიდან გაწმენდა.** შინაგან საქმეთა სამინისტროში მოვიდა ზუგდიდიდან დეპეშა, რომელიც ზუგდიდის მაზრის ყაჩაღთა ბრბოებიდან გაწმენდის შესახებ იუწყება. უკანასკნელ ყაჩაღთა დარასელიას და ხვინგიას დევნის დროს გმირულად დაიღუპნენ სარაიონო კომისარი შამუგია და ცხონდია, თემის თავმჯდომარე ჯავაშია, უფროსი მილიციონერი რედონაია და მილიციონერი თორუა.

**კატორღელების გადმოყვანა.** რესპუბლიკის საპყრობილეთა ინსპექტორის უფროსი თანაშემწე ი. დ. იაშვილი, საპყრობილეთა მხლებელთა რაზმის უფროსი პოლკოვნიკი დ. ი. ჯაფარიძე ოთხი ოფიცრის და 80 მხლებლის თანხლებით გაემგზავრენ ქ. ქუთაისში, საკატორღო ციხიდან ტფილისი ციხეში კატორღელების გადმოსაყვანად.

# აკ. ჩხენკელი ფრონტზე

დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი გუშინ დილით დაბრუნდა ფრონტიდან. გვარდიის დღე მან გაატარა გვარდიის ნაწილებში, რომელთაც დიდის აღფრთოვანებით იდღესასწაულეს 12 დეკემბერი. დღესასწაულში ყველა პუნქტებში ხალხიც ღებულობდა მონაწილეობას, იმართებოდა განსაკუთრებული საღამოები, წარმოდგენები და მიტინგები, რომელზედაც დეპუტატი აკეთებდა დროის-შესაფერ მოხსენებას. შემდეგ აკ. ჩხენკელმა ჩამოიარა ჯარის ნაწილების პუნქტებიც, გაეცნო მათ ვითარებას, მიმართა მათ შესაფერისი სიტყვებით. ჯარის დათვალიერებას ხალხიც ესწრებოდა. ამათაც მიმართავდა დეპუტატი და აძლევდა განმარტებებს შეკითხვებზე. მგზავრობამ გასტანა 5 დღე, რომლის განმავლობაში დეპუტატი იყო ათიოდე ერთი მეორეზე დაშორებულ პუნქტებში.

როგორც გვარდიის, ისე ჯარის ნაწილებში ჩინებული სულისკვეთება არის, ძლიერ კმაყოფილი დარჩენ ჩხენკელის წვევით და არ მალავდენ თავის სურვილს, რომ ხშირათ სწვევოდენ მათ ტფილისიდან. საშობოთ ისინი მოელიან საჩუქრებს ზურგიდან.

# ტფ. ქალაქის თვითმართველობაში

**უკანასკნელი დადგენილებანი.**

გამგეობამ ა. წ. პირველ დეკემბრიდან ელექტრონის ენერგიის ნიხრი გაადიდა შემდეგი სახით: 1) ბინებში, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში ერთი კილოვატი—100 მან. 2) სავაჭრო-სამრეწველო და გასართობ დაწესებულებებში—135 მან. 3) ლამფებით ბინებში, სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებში 10 სანთლიანი—180 მან. 16 სანთლიანი—290 მან. 25 სანთლიანი—450 მან. 50 სანთლიანი—900 მან. სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებში 10 სანთლიანი 243 მან. 16—390 მან. 25 სანთლიანი—608 მან. 50 სანთლიანი—1215 მან. მორიგ ლამფებზე არა უმეტეს 10 საათის წვისა ფასები ორმაგია. ნახშირის ლამფაზე ფასები სამჯერ მეტია. ელექტრონის სადგურის პატრონთ არ შეუძლიანთ გადაახდევინონ აბონენტებს ელექტრონის „მინიმუმი“.

— რადგან ტრამვაის ვაგონები მეტად დაზიანდა ხანგრძლივ შეუკეთებლობის გამო, ქალაქის გამგეობამ ი. ბესელიძის მოხსენების თანახმად განიზრახა გერმანიის სამრეწველო ფირმის „სიმენსის და შუკერტის“ შეუკვეთოს 35 ვაგონი. ხსენებულმა ფირმამ თანხმობა განაცხადა ვაგონების მიწოდებაზე მილიონ გერმანულ მარკათ. ვაგონების დაკვეთა მოხდება ცენტრო-ბანკის საშუალებით, იმ პირობით რომ ცენტრო-ბანკის გამგეობის მიერ გამოსყიდულ იქნება და მის საწყობებში მოათავსებს. მასალებს მიიღებს ნაწილ-ნაწილად და; ყოველი მიღებული საქონლის ღირებულებას გადიხდის მარკებად საქონლის მიღებისთანავე.

— სამხედრო უწყების ტფილისის, ჰოსპიტალი თანახმად საბჭოს დადგენილებისა გადებულ იქნა მთელი მისი მოძრავი ქონებით და ჩაირიცხა ქალაქის მესამე საავადმყოფოდ.

— ორ დეკემბრიდან ხორცზე დაწესებულია ახალი ნიხრი შემდეგი სახით: ღორის ხორცი ტყავიანი 100 მან. უტყავო—90 მან. ღორის თავი—70 მან. ღორის ქონი (ფერდები) გირვანქა—250 მან ტყავიანი—200 მ. გადამდნარი—300 მ. ძროხის ხორცი—50 მ. კამეჩის—45 მან. ცხვრის ხორცი—80 მან. თხისა—70 მან. სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგეზე: კართოფილი გირვანქა—30 მან.; ხახვი—35 მან. კომბოსტო—12 მან. ლობიო (გურული)—50 მან. ბითუმად—1800 მან. ჭკა ოძე—50 მან. კვერცხი—25 მან.

— სამისამართო ბიუროს საჭირო დავთრების დასამზადებლად გაღებულ იქმნა 3.175.000მან.

— ქალაქის თვითმართველობის დაწესებულებებში 13 დეკემბრიდან მუშაობა სწარმოებს დილის $9^1/_2$ ს.—დღის $3^1/_2$ საათ.

# მუშათა მდგომარეობა

ცენტ. სტატისტ. კომიტეტში შესდგა მუშათა და მოსამსახურეთა საბიუჯეტო მდგომარეობის გამომრკვევ კომისიის მორიგი სხდომა. ამავე სხდომაზე განიხილეს ანკეტის პროექტი, რომლის საბოლოო დამუშავება შემდეგი სხდომისათვის გადასდვეს.

— ცენტ. სტატისტიკური კომიტეტი შეეკითხა ერობებსა და რესპუბლიკის სტატისტიკურ ორგანოებს: 1, როდის არის სასურველი სტატისტიკოსთა ყრილობის მოწვევა, 2. როგორი უნდა იქნეს ყრილობის პროგრამმა. 3. როგორ მოხსენებებს წარადგენენ ყრილობაზე და 4. ერობები ვის გაგზავნას ფიქრობს ყრილობაზე.

— ცენტ. სტატისტ. კომიტეტმა მოაწყო საინფორმაციო განყოფილება, რომელმაც მიმართა მთავრობისა და საზოგადოებრივ ყველა დაწესებულებებს თხოვნით, რათა მათ მიაწოდონ მას ყოველგვარი მასალა რომელიც რესპუბლიკის ეკონომიურ ცხოვრებას შეეხება.

# მუშათა მაგიდა

აცხადებს, რომ იგი მეორეჯერ არიგებს 10 გირვანქა ქარტოფილს რაციონზე. ფუთს 800 მანეთათ. ვისაც სურს კარტოფილის მიღება მოთხოვნილებანი უნდა გამოგზავნონ სამი დღის განმავლობაში, რადგანაც დარჩენილი კარტოფილი, რომ არ გაფუჭდეს, სამი დღის შემდეგ გადაეგზავნება რესპუბლიკის სხვა მუშათა მაგიდებს. ამ ხნის შემდეგ არც ერთ ჯგუფსა და დაწესებულებების წარმომადგენლებს უფლება არ ექნებათ პრეტენზია განაცხადონ, რომ მათ მუშათა მაგიდიდან კარტოფილი არ მიუღიათ.

# ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა საკითხი

შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის თავმჯდომარეობით დეკემბრის 11 შესდგა თათბირი ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა საკითხის შესახებ. თათბირს დაესწრენ მინისტრის ამხანაგი ჭავჭანიძე, ტფილისის ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი, ქალაქთა კავშირის თავმჯდომარე ელიავა, ერობათა კავშირის თავმჯდომარე სოლოღაშვილი ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი ოპოჩინინი, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერობო განყოფილების უფროსი რუხაძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მდივანი ლომთათიძე და სენატორი კალანდარაშვილი. თათბირს განსახილველად ორი პროექტი წარუდგინეს: ფინანსთა სამინისტროსი და ქალაქთა კავშირის. თათბირმა ორივე პროექტი განიხილა რის შედეგაც მიღებულ იქნა ქალაქთა საბიუჯეტო უფლებათა პროექტის ძირითადი დებულებები: 1) სასარეწაო გადასახადი, 2) აქციზი ღვინოზე, 3) გადასახადი მეჯაიდრეობაზე, 4) საგანგებო გადასახადი. დასასრულ თათბირმა დაადგინა: მიენდოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეიტანოს მთავრობაში განსახილველად ქალაქთა საბიუჯეტო უფლების პროექტი შესწორებებით.

# სატარიფო პალატაში.

დეკემბრის 15 სატარიფო პალატის მორიგ სხდომაზე ერთხმად იქმნა ცნობილი საჭიროთ მუშებისა და მოსამსახურეთადმი ერთდროული დახმარების აღმოჩენა. მოსამსახურეებსა და მუშებს ნისიათ უნდა მიეცეს მანუფაქტურა, ფეხსაცმელები და პირველ საჭიროების სხვა ნივთები. გამოითქვა სურვილი, რომ ამ ნივთების შეძენა და განაწილება მიენდოს მუშათა მაგიდას. თუ ეს შეუძლებელი იქნება იმ შემთხვევაში ამ საქმეში უნდა ჩაირიონ მუშათა კოოპერატივები და სხვა ამგვარი დაწესებულებანი.

— სატარიფო პალატამ განიხილა მეტყავეთა კავშირის პროტესტი ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მეჩექმეთათვის დანიშნულ ჯამაგირის რაოდენობის წინააღმდეგ. სატარიფო პალატამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ მეჩექმეებს მიეცემათ 15,000 მ. მეტი თვეში—ისინი დაჰკარგავენ უფლებას მუშათა მაგიდიდან მიიღონ ულუფა. ამ მოსაზრების გამო მეტყავეთა კავშირმა უკან წაიღო თავისი პროტესტი და მოითხოვა პრემიარულ სისტემის შემოღება.

— დეკ. 15 სხდომაზე სატარიფო პალატამ დაამტკიცა პრემიარული სისტემის შემოღება დაწესებულებებში და წარმოებებში.

# თავდაცვისათვის

ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიმართა სახალხო განათლების სამინისტროს თხოვნით განუმარტონ სასწავლებლებს მნიშვნელობა „ფრონტის შობის დღეებისა“, რომლებიც დეკემბრის 25 და 26 იმართება. თავის თხოვნაში კომიტეტი გამოსთქვამს სურვილს, რათა სახალხო განათლების მინისტრმა მიმართოს მოწაფეებს მოწოდებით ამ დღეებში მხურვალე მონაწილეობის მიღების შესახებ. ასეთივე თხოვნით ფრონტის დამხმარე კომიტეტმა მიმართა პროფესიონალურ კავშირებს და ქალაქის შკოლების გამგეობას. ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მ. ჟორჟოლიანმა შრომის ბეგარის საკითხის მომწესრიგებელ კომისიაში აღძრა შუამდგომლობა მის განკარგულებაში შრომის ბეგარის სახით გაწვეულთა გადაცემის შესახებ. შუამდგომლობა დასაბუთებულია მით, რომ კომიტეტს ესაჭიროება მუშა ხელი.

# სპეკულიაცია ნავთით

სისხლის სამართლის მილიციამ მიიღო სანდოო წყაროდან ცნობები, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილების ნავთ-საწყობიდან კერძო პირებზე სპეკულიატურ მიზნით ჰყიდიან ნავთს მაღალ ფასებში. ეს ცნობები იყო გამორკვეული და 16 ამა დეკემბერს სისხლის სამართლის მილიციის განკარგულებით იყვნენ დაპატიმრებული სასურსათო განყოფილების კონტრაგენტი გიორგი გერასიმეს ძე მირიმანოვი და ნავთ საწყობის გამგე ლევ მირიმანის ძე ზინგმანი და იგივე განყოფილების აგენტები: ნიკო ივანეს ძე ფირცხალაიშვილი და ვლადიმერ ვლადიმერის ძე გრაბოვსკი. მათ ბინის გაჩხრეკის დროს ფირცხალაიშვილს აღმოაჩნდა 36 000 მან., სინგმანს—130.000 მან. და მირიმანოვს—568 000 მ. აღმოჩენილი ფულები დროებით იქნება შეტანილი ქალაქის გამგეობის სალაროში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

# მილიციაში

— დაპატიმრებულ იქმნა გამოჩენილი ქურდი რეციდივისტი სიმონი ალექსანდრეს-ძე პეტროსოვი რომელიც როგორც მავნე საქართველოსთვის უცხოელი იქნება გაძევებული საქართველოს რესპუბლიკიდან.

— საკომისიო მაღაზიიდან ს. კ. ნალბანდიანცისა მოპარული ამა დეკემბრის 1 რიცხვებში 9 ხალიჩიდან ღირებული 864,000 მან. სისხლის სამართლის მილიციის მოხელეებმა აღმოაჩინეს ერთი ხალიჩა გუსეინ რახმან ოღლის ბინაზე ვორონცოვის ქუჩ. № 20 და მეორე ხალიჩა მე 6 უბნის სახალხო გვარდიელის გასან მამედ ალი ოღლის ბინაზე ხალიჩები დაუბრუნდა პატრონს და გუსეინ რახმან ოღლი და გასან მამედ ალი ოღლი კვლევა-ძიებითურთ გადაეცა სასამართლოს.

—ტფილისის მაზრის მილიციის სამმართველო 15 ამა დეკემბერს პლეხანოვის ქ. ს. № 171 გადავიდა რუსთაველის პროსპექტზე მაზრის ერობის შენობაში. შესავალი—გიმნაზიის ქუჩიდან, ყოფილი სასტუმრო „უნივერსალის“ კარებიდან. სართული მეორე.

— სისხლის სამართლის მილიციის მოხელეები 15 თებერვალს იყვნენ ქალაქის სხვა და სხვა კუთხეში შეიპყრეს: 1) მაგაზინიკ ბეი 2) არაქელიანცი ა. ი. 3) ბენდელსკი ი. ს. 4) თოროსოვი არისტაკეს 5 ვალდევი ა. ბ. 6) ვექილოვი მ. ა. 7) გრიგორიანცი მ. კ. 8) მელქუმიანცი ა. მ. 9) სტეფანიანცი ე. ე. 10) ტუგუში დ. უ. 11) კოლოპოდიანცი ე. მ. და 12 გაიდზაშიანცი ა. ა. აღნიშნული პირნი გადაეცნენ როგორც უსაქმური პირნი შრომის ბეგარი სამობილიზაციო კომისიას.

# წერილი რედაქ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ მთავრობის გაზეთის საშუალებით განვაცხადოთ, რომ ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ წევრნი კომუნისტურ პარტიისა; ჩვენ ხსენებულ პარტიაში არასოდეს არ გვიმუშავია და არც ვმუშაობთ.

პატ. პლ. კორძაია, კლ. ცომაია.

---

ნამდვილს ზედ აწერია: ვამტკიცებ“ 25 ნოემბერი, 1920 წ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი **ბ. ჯგალიანი.**

# წესდება

**შინაურის ბანკისა.**

**II ბანკის ოპერაციები.**

ი) აქცეპტი და გაცემა გადასაპირებელი ვექსილებისა, ტრატებისა, აკრედიტივებისა და ფულის გადასაგზავნი ბარათებისა ყველგან შინაგან რესპუბლიკისა და საზღვარ გარედ, თანახმად წესისა, რომელიც აღნიშნულია ამა პარაგრაფის „დ“ მუხლში;

კ) მიღება შესანახად წინდაწინვე განსაზღვრულ სასყიდლის აღებით ყოველგვარ პროცენტიან ქაღალდებისა და ღირებულებისა და აგრეთვე გაცემა ქირით უშიშარ ბინათა (საფულე შკაფთა) ანუ განყოფილებათა ამავე ბინებში, ყოველგვარ ღირებულებათა შესანახად;

ლ) მიღება ფულისა, როგორც დებული, უვადოთ. განსაზღვრულ ვადით და მიმდინარე ანგარიშზე იმ პირობით, რომ თვითეული ფულის მიღების შესახებ გაცემული ბილეთი უნდა შეიცავდეს თანხის არა ნაკლებ ასი მანეთისა;

მ) ყიდვა და გაყიდვა საკუთარი ანგარიშით სახელმწიფო პროცენტიან ქაღალდებისა, აქციების ობლიგაციებისა, რომლებზე მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილნი უნდა იყვნენ და რომლებზედაც შეიძლება დაეხარჯოს არა უმეტეს ძირითადი თანხის ნახევარისა;

ნ) ყიდვა და გაყიდვა თავის ანგარიშით ობლიგაციებისა და გირავნობის ფურცლებისა, რომლებიც საადგილ-მამულო ბანკებისა, ერობებისა, ქალაქებისა და სააქციონერო საზოგადოებისა მიერ გამოცემული აგრეთვე მთავრობისაგან უგარანტიო აქციებისა და პაებისა, მხოლოდ გამგეობის ერთხმივ გარდაწყვეტილებით და საბჭოს დადასტურებით და იმ პირობით, რომ ამ საქმეში გაღებული

თანხა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი თანხის ერთ მეხუთედ ნაწილსა.

**შენიშვნა.** ბანკს არ შეუძლია იყიდოს თავის ანგარიშით ისეთი პაები, ობლიგაციები და გირავნობის ფურცლები, რომელთათვის ჯერ არავითარი ფული არ არის შეტანილი და რომელნიც ამიტომ ბირჟაზედ არ ტრიალობენ.

ო) გამოცხადება ხელის მოწერისა, საკომისიოდ, საერობო, საქალაქო და საზოგადოებრივ სესხზედა და აგრეთვე იმ აქციებსა, ობლიგაციებსა, პაებია და გირავნობის ფურცლებზედ, რომელთა' გამოცემა ნებადართულია საქართველოში იმ პირობით, რომ არავითარი ხელის მოწერა უცხოეთის ქაღალდზე არ უნდა იყოს გამოცხადებული ფინანსთა მინისტრის ნებადაურთველად.

**შენიშვნა.** ბანკს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია თავს იდვას ხელის მოწერის წარმატება.

პ) დაგირავება საკუთარი პროცენტიანი ქაღალდებისა სხვა საკრედიტო დაწესებულებებში და გადაგირავება იქვე იმ პროცენტიან ქაღალდების და საქონლისა, რომელიც თვით ბანკს მიუღია გირაოდ კერძო კაცთა და დაწესებულებათაგან, ამ უკანასკნელთა თანხმობით; გადაგირავება საქონლისა სრულდება გირავნობის ქაღალდზე გარდაცემითი წარწერით;

ჟ) გაცემა სესხისა ხოლო ვექსილის ქვეშ, რომელსაც ხელს აწერს მარტო ვექსილის გამცემი, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს სოფლის მამულის გირაოთი თანახმად იმ განსაკუთრებული წესებისა, რომელიც განმტკიცებულია 11 მაისის 1898 წლის კანონით. (დამატება 9 მუხლისა, განყოფილება X საკრედიტო წესდებისა, გამ. 1903 წ.).

§ 14.

დაგირავება პროცენტიან ქაღალდებისა და სხვა მოძრავისა სრულდება ყველა საკრედიტო დაწესებულებათათვის მიღებულ წესით: ე. ი. ბანკს გამგეობისადმი უბრალო გადაცემით ამა გირაოთა, განცხადებასთან ერთად, რომელსაც დამგირავებელი ხელს უნდა აწერდეს. განცხადებაში, უნდა იყოს აღნიშნული, რომ თუ ვადაზე სესხი არ იქმნა გადახდილი, გამგეობას შეუძლია გირაო გაყიდოს. თავის მხრით გამგეობა აძლევს მსესხებელს გირაოს მიღების მოწმობას. ამ მოწმობაში უნდა იყოს ნამდვილად აღნიშნული, რაში მდგომარეობს გირაო და რა პირობით არის სესხი გაცემული.

§ 15.

პროცენტის რაოდენობა და პირობები ვექსილის განაღდებისა, სესხისა და აგრეთვე დებულთა და მიმდინარე ანგარიშთა განისაზღვრება ბანკის გამგეობის მიერ და მტკიცდება საბჭოს მიერ.

§ 16.

ყიდვა და გაყიდვა, წარმოებული ბანკის მიერ მესამე პირთა ანგარიშით და ყველა მინდობილობით ოპერაცია აღნიშნული მე-13 §-ში, სრულდება ბანკის მიერ წინდაწინ გამგეობისაგან განსაზღვრულ საკომისიო სასყიდლის აღებით.

§ 17.

მესამე პირთა ანგარიშით ბანკი ყიდულობს საყიდელს მხოლოდ იმ ფულით, რომელიც მიმნდობლის მიმდინარე ანგარიშზე ინახება, ან ყიდულობს მაშინ, როცა წინდაწინვე შემოტანილ იქნება საჭირო ფული და ჩარიცხული მიმდინარე ანგარიშზე იმ პირისა, რომელიც ბანკს ყიდვას ავალებს.

§ 18.

კლიენტთა საჭიროებისათვის ბანკისადმი ნებადართული საბლანკო კრედიტები, ე. ი. კლიენტთა ანგარიშით ბანკის მიერ გადახდილი ფული, გადაჭარბებული მათ მიმდინარე ანგარიშის თანხას ან თანხას მათ მიერ წარმოდგენილ გირაოთა საგირაო ღირებულებისას, არ უნდა აღემატებოდეს საერთოთ ერთ მეათედ ნაწილს ბანკის ძირითადი (ნამდვილად შეტანილი) და სათადარიგო თანხისას და არ უნდა გადაცილდეს 30 დღეს, და თუ ამ ვადის შემდეგ ბანკის მიერ გადახდილი ფული არ იქმნა შევსებული ნაღდი ფულით ან უზრუნველყოფილი დაწესებული გირაოთა, ბანკის სამმართველო უნდა შეუდგეს გარდახდევინებას თავიანთ წევრთა პასუხისგებით.

§ 19.

ბანკი აწარმოებს განაღდებას ვექსილებისას და სხვა ვადიან სავაჭრო ვალდებულებისა ქაღალდებისას, რომელიც უზრუნველ-ყოფილია გარდახდის მიერ არა ნაკლებ ორი კაცის ხელის მოწერითა; ერთის ხელმოწერილი ვექსილები ბანკს შეუძლია მიიღოს გასანაღდებლად და მისცეს გირაოდ სესხი მხოლოდ მაშინ, როცა იგი ვექსილები უზრუნველყოფილია: პროცენტიან ქაღალდებით, ძვირფასი ლითონებით, საქონლით და საქონლის დოკუმენტებით.

§ 20.

ვინც წარადგენს § 19-ში მოხსენებულ უზრუნველსაყოფელს, იმას ბანკში გაუხსნიან კრედიტს, რომელის რაოდენობას განსაზღვრავს ბანკის გამგეობა, მაგრამ კრედიტი მაინც არ უნდა აღემატებოდეს § 13 პარაგრაფის 3 მუხლში ნებადართულ სესხსა ამ გვარ გირაოს ქვეშ. ამ რაოდენობით ბანკი იღებს გასანაღდებლად ვექსილებს, გაცემულს იმ პირისგან, ვისაც კრედიტი აქვს გადაწყვეტილი; აგრეთვე სხვის ვექსილებს მისი საბლანკო წარწერითა.

§ 21.

თუ მსესხებელმა არ გადაიხადა ვადაზედ სესხი, აღებული ბანკში § 13, ბ მუხლში მოხსენებულ გირაოთი, მეორე დღეს ეგზავნება ბინაზედ თვის მიერ ნაჩვენებ ადრესით წინასწარი უწყება, რომ შვიდი დღის შეღავათი ეძლევე მას დღიდან ვადის გადაცილებისა და ამ ხანში გადახდება პროცენტის მაგიერ ჯარიმა ნახევარი პროცენტი მთლად იმ ფულზე, რაც ემართა.

თუ მსესხებელმა ფული არ შემოიტანა შეღავათად მიცემულ კვირის განმავლობაში, მაშინ იმისი დაგირავებული ფასიანი ქაღალდები, ლითონი და სხვა საქონელი საჯარო ვაჭრობით გაიყიდება თვით ბანკში ან ბირჟის მაკლერის შუამავლობით; ასიგნოვკები ოქროს მისაღებად ბანკშივე რჩება, ვიდრე დადგებოდეს ვადა იმ ასიგნოვკებით ფულის მიღებისა ზარაფ-ხანიდან, ან ვიდრე თვით მსესხებელნი გამოისყიდიან მანამდე, ხოლო ზემოთ მოხსენებულ ჯარიმის მაგიერ, სახელდობ $^1/_2$%-ისა, გადახდება შეპირებული პროცენტი დღიდან ვადის დადგომისა ბანკის სესხის გასტუმრებამდე, იმვარაუდით, რომ ყოველი უკვე დაწყებული 15 დღე ჩათვლილ იქნას ნახევარ თვეთ. აგრეთვე ნაანგარიშევი იქნას ხარჯი გაყიდვისა და ამას გარდა კიდევ 2%-იც გადახდეს მთელი ვალისა უპირულობისათვის.

ვადა გადაცილებული ვექსილებით გადახდევინება სწარმოებს საზოგადო წესით.

§ 22.

ყოველგვარ სესხის გაცემის დროს ბანკი იძლევა მხოლოდ ნაღდ ფულს და არა სხვა რაიმე ვალდებულების ქაღალდს თავის თვისისადმი მიმართულს.

## განცხადებანი

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ზვარეთის საზოგადოებიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან მელიტონ ოტიას ძე გოშაძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4275 3—2

საქციზო სამმართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონეს ილია ზერიაშვილს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული საქციზო სამმართველოს მიერ 1920 წლისათვის, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4270 3—2

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი ანდრია ასლამაზაშვილის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსისგან 1918 წ. რეესტრით № 495. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4276 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა პეტროს ხაჩატურის ძე დილბაროვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4258 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული საჩხეროს საერობო თემიდან და სამხედრო ნუსხა № 2780, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან ელო იოსების ძე ლელუჩაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4262 3—2

ვექილობა მიცემული მოსეს გრიგოლის ძე მალუნცოვისთვის თურინჯაალასას ძის ვლასოვის მიერ, როგორც უფროსი გამაწესრიგებელი ამხანაგისა, ამხანაგობა „სვეტისა" 1916 წელს 29 თებერვალს ნოტარიუს ქართველოვის რეესტრის № 2065 გაუქმებულია. 1223 3—2

დაიკარგა შინაგან საქმეთა სამინისტროდან მიღებული იარაღის ტარების და შენახვის ნებართვა ანდრია ბეგოიძეს სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4224 3—3

დაიკარგა პასპორტი იადვიგი კონსტანტინეს ასული ალექსეევის სახელზე, მიღებული მინსკის ქალაქის პოლიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4233 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი მე-8 სამილიციო უბანში მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ბარბარე გოლუბევისას. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4219 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 148 სერგო არიუთინოვის სახელზე, მიღებული ტფ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4222 3—3

დაიკარგა საბინაო წიგნი მარტყოფის და რეადოვის ქუჩაზე მდებარე სახლის, № 6-16 რომელიც ეკუთვნის კერესელიძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4229 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ქუთ. მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი, მიღებული ფარახეთის (რაჭ. მაზრა) თემიდან და მეტრიკა—არტემ გრიგოლის ძე ნადირაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4230 3—3

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 30 ნიკოლოზ კინ. სარჩილავას სახელზე, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4195 3—3

დაიკარგა პასპორტი იაკოფ მოსეს ძე ნამთალოვის სახელზე, მიღებული პოლიცმეისტრის სამართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4188 3—3

დაიკარგა პასპორტი № 1079 ალეკპერ ქერიმ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4193 3—3

დაიკარგა სამეურნეო ბანკის სათავნო ვადიანი ბარათი № 2283—შემოტანილი 1918 წ. 23 აგვისტოს 1000 მან. ერთი წლის ვადით, ივანე თომას ძე იაშვილის სახელზე; გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო მოწმობა მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან ვაჭრობის ნებართვა მიღებული ტფ. ხაზინიდან და 1920 წ. გადასახადის კვიტანცია მიღებული ქალაქის გამგეობიდან კარაპეტ არაქელის ძე ამიროვის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4248 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ჭალის თემიდან (შორაპნის მაზრა), სამხედრო ბეგარიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და საპენსიო წიგნაკი გიორგი საჩინოს ძე გურასაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4249 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მიღებული ტფ. პოლიტეხნიკუმიდან და სხვა საბუთები ნიკოლოზ ბესარიონის ძე გვახარიას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4265 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 63903 სამხედრო აღრიცხვის სამმართველოს სამნეო ნაწილის ბადრაგის გრ. ხვთისიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4242 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ს. ახალქალაქის თემიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული სასწავლო გუნდიდან 1919 წ. მარტია ალექსის ძე ამირაზაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4243 3—2

დაიკარგა პასპორტი მამედ ალა ნაჯაფ ოღლის სახელზე, მიღებული სპარსეთის საკონსულოდან აქსტაფაში. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4263 3—2

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზ. სასწავრო წიგნაკი № 1034 ოლღა დიმიტრის ასული შალიგინის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 4266 3—2

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 3261 არონ ხაიმ მიხეილის ძე იოსებაშვილის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4261 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ილარიონ გაბას ძე პილიევის სახელზე, მიღებული გოჯარეთის (გორის მაზ.) კომისარისაგონ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4244 3—2

დაიკარგა სოფ. კნოლევიდან ფქვილის ჩამოტანის ნებართვა ლიზა გალუსტოვის სახელზე, მიღებული კნოლევის თემიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4245 3—2

დაიკარგა მორიგ ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა მორდუხ ლეიბ პოგრებეცკის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4255 3—2

კავკასიის ბანკი აცხადებს, რომ შესანახი მოწმობა გაცემული 1916 წ. დეკემბრის 29-ს № 5325 გიორგი კონსტანტინეს-ძე პიტოევის სახელზე დაკარგულია და გაუქმებულად ჩაითვალოს. 4251 3—2

გიორგი ვასილის ძე ქოჩიაშვილი აუქმებს მინდობილებებს გაცემულს დომენტი ავგუსტინის ძე ლვითაიშვილის სახელზე, რომელნიც დამოწმებულია ტფ. ნოტარიუსი ქართველოვთან 1919 წ. და 1920 წ. №№ 4362 და 1082 და დამოწმებულს ნოტარიუს ბოტეზოტისთან 1918 წ. № 7365. 4253 3—2

მიხეილ ანდრიას ძე ჩაჩავა აცხადებს, რომ მან დაკარგა მოწმობა № 216, სამხედრო ბეგარის მოსახდელად გამოცხადების შესახებ მიცემული ქ. ტფილისის საუბ. აღრიცხვის ნაწილის. უფროსის მიერ, გაუქმებულად ჩაითვალოს. (უ.)

დაიკარგა უვადო პასპორტი № 2448. მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1915 წ. ანნა თეოდორეს ასულის ივკინას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4289 3—1

დაიკარგა პასპორტი № 1631. მიღებული ქ. როსტოვში შვეიცარიის საკონსულოდან ოსმალეთის ქვეშევრდომ გარეგინ არუთინისძე ოვანესიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4288 3—1

დაიკარგა სამტრედიის კოოპერატივის სასწავრო წიგნაკი № 12940 კონსტანტინე აბრამიას სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 4290 3—1

დაიკარგა ნუსხა ალექსანდრე იორდანეს ძე მაჩალაძის სახელზე, მიღებული ტფ სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და პირადობის მოწმობა მიღებული ტფ. მილ. უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4291 3—1

დაიკარგა სამსახურის ფურცელი კუპონი № 3, მიღებული მე 7 პოლკიდან დავით ზაქარიას ძე აკოფიანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4292 3—1

დაიკარგა ნუსხა ლეონტი ეგნატეს ძე სიგუას სახელზე, მიღებული სენაკის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4280 3—1

დაიკარგა საიჯარო პასპორტი ეგიაზარ რაშოიანცის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4286 3—1

დაიკარგა პასპორტი ბაგრატ ალექსანდრეს ძე ბაჩიაშვილის სახელზე, მიღებული კავკაზში საქართველოს კონსულისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4287 3—1

დაიკარგა მოწმობა სამხედრო ბეგრიდგან განთავისუფლებისა მიღებული ტფ. სამხედრო უფროსისგან და მეტრიკული მოწმობა სოფ. ხორთის სხიესის ეკლესიიდან კირილე წყალობას ძე გოგლიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4296 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა მიღებული მომარაგების სამინისტროდან იოსებ ისაკოს ძე პერელმანის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4297 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ზესტაფონის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. პირადობის მოწმობა მიღებული ლელვან—მარელისის თემიდან და მეტრიკული მოწმობა მიღებული ლელვანის ეკლესიიდან ნიკოლოზ პორფილეს ძე ვეფხვაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 4298 3—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.